8
ოქტომბერი
სამშაბათი,
1963 წ.
№ 109 (3304).
გამოცემის 30-ე წელი.
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საპრიზო ადგილები განაწილდა

დინამოელ ჩოგბურთელთა საკავშირო პირველობა, რომელიც თბილისში 10 დღეს მიმდინარეობდა, დამთავრდა, განაწილდა საპრიზო ადგილები.

ქალთა წყვილების ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ ბაკშეევამ და ტიტოვამ სძლიეს კივისა და ლინდრეს — 7:5, 9:7. მესამე ადგილი წილად ხვდათ რაპოპორტსა და მიხნევიჩს. შერეულ წყვილთა შორის გამარჯვება და I ადგილი მოიპოვეს ბაკშეევამ და ლეიუსმა. მათ დაამარცხეს (6:4, 6:4) ტიტოვა-სივოხინის წყვილი. კივი და კედარსი მესამე ადგილზე გავიდნენ.

საინტერესოდ წარიმართა ვაჟთა წყვილების ფინალი. მეტრეველსა და მძინარიშვილს ამჯერად საქმე ჰქონდათ ძალზე მაღალი და აგრესიული კლასის მოთამაშეებთან — ეგოროვთან და სივოხინთან. პირველი ორი პარტია ქართველმა სპორტსმენებმა მეტად დაძაბულ თამაშში თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 7:5, 13:11. ფიზიკურმა და ნერვიულმა დაძაბვამ თბილისელთა წყვილს თავისი დაღი დაასვა და მათ მესამე პარტია დასთმეს — 4:6. მეოთხე პარტიაში ინიციატივა კვლავ ქართველი სპორტსმენების მხარეს იყო და საბოლოო გამარჯვებასაც მათ დაუსვეს ლოგიკური წერტილი — 6:3. ვაჟთა წყვილებში III ადგილით დაკმაყოფილდნენ ლეიუსი და პარმასი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია 51-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. თუხარელმა. მან ფინალში გასვლამდე საკმაოდ ძლიერი მეტოქეები დაამარცხა, ხოლო ფინალში მისი მოწინააღმდეგე იყო ცნობილი ჩოგბურთელი გ. ბაკშეევა. ეს შეხვედრა თუხარელმა წააგო საკმაოდ დიდი სხვაობით—1:6, 2:6, II ადგილი თუხარელისათვის უთუოდ დიდი წარმატებაა. მესამე ადგილი ქალთა ერთეულებში მოიპოვა ტიტოვამ.

ვაჟთა ერთეულებში პირველობისათვის ბრძოლა თავიდან კარგად დაიწყეს მეტრეველმა და ეგოროვმა. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მეტრეველს „განსაკუთრებული ანგარიშები ჰქონდა გასასწორებელი“ ეგოროვთან. საქმე იმაშია, რომ შეჯიბრების სტარტზე გუნდური ასპარეზობის დროს ეგოროვმა დაამარცხა მეტრეველი ანგარიშით 6:3, 4:6, 7:5, 6:2. ამჯერად, მეტრეველს გარდა პირველი ადგილისათვის ბრძოლისა, რევანშის აღების შესაძლებლობაც მიეცა.

დაიწყო თამაში და პირველი ორი პარტია მეტრეველის სასარგებლოდ (6:2, 6:4) დამთავრდა. მესამე პარტიაში კი „დაყარა“ იარაღი — 2:6. შემდგომ ეტაპზე მეტრეველი რამდენიმეჯერ ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ეგოროვმა იძალა, გამოიყენა მეტრეველის ნერვიულობა, შეცდომები და ანგარიში გათანაბრდა — 2:2 (10:8). ყველაფერი მეხუთე პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ამჯერად, ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. თავდაპირველად დაწინაურდა ეგოროვი — 3:1, მაგრამ მეტრეველმა ვირტუოზული თამაშით მოახერხა წონასწორობის აღდგენა — 4:4. დასკვნითი ეტაპი მეტრეველმა მათემატიკური სიზუსტით ჩაატარა და მოიპოვა გამარჯვება ძლიერ მეტოქესთან — 3:2 (7:5). ვაჟთა ერთეულებში III საპრიზო ადგილი ერგო სივოხინს, რომელმაც თავის მხრივ ამ ადგილისათვის ბრძოლაში დაამარცხა პარმასი — 6:1, 6:2, 7:5.

ჯ. ცინცაძე

• • •

სურათზე: „დინამოს“ საკავშირო პირველობის პრიზიორები და მათი აღმზრდელი. მარცხნიდან — ნ. მძინარიშვილი, ა. ხანგულიანი, ა. მეტრეველი და ნ. თუხარელი.

ფოტო ი. იუნაევისა.

ისევ ერთი ქულა

ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე სპლიტში გათამაშდა მე-12 ტური. საბჭოთა მოჭადრაკეები ჰოლანდიელებს შეხვდნენ და არ უღალატეს „ტრადიციას“ ანგარიშით — 2:0 დაამარცხეს მეტოქენი. საბჭოთა მოჭადრაკეებს არც მათი მთავარი კონკურენტები იუგოსლაველები ჩამორჩნენ და „მშრალი“ ანგარიშით სძლიეს ავსტრიელები — 2:0.

მე-12 ტურის შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეებს 23 ქულა აქვთ 24-დან, ხოლო იუგოსლაველებს — 22. მე-13 ტურში ჩვენი მოჭადრაკეები ისვენებდნენ. იუგოსლაველები კი ჰოლანდიელებს ხვდებიან. მე-14 ტურში შედგება შეჯიბრების ცენტრალური შეხვედრა, სადაც ალბათ გადაწყდება ჩემპიონობისათვის ატეხილი დავა. ამ ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები მასპინძლებს ხვდებიან. დანარჩენი მონაწილეები ამ ორ გუნდს საგრძნობლად ჩამორჩებიან და ბრძოლა ექნებათ მესამე ადგილისათვის.

„ბურევესტნიკის“ ჩემპიონი

გასულ შაბათს თბილისის სპორტკავშირის კორტებზე დაიწყო „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ჩოგბურთში.

სტარტი წარმატებით აიღეს საქართველოსა და მოსკოვის ჩოგბურთელებმა. მოსკოველებმა მეოთხედფინალში დაამარცხეს ბელორუსიის ნაკრები ანგარიშით 10:0, ხოლო ნახევარფინალში გაიმარჯვეს ლენინგრადელებთან — 9:4.

ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელთა მეტოქეები პირველ დღეს იყვნენ უზბეკი სპორტსმენები. საქართველოს წარმომადგენლებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 11:0. მეორე დღეს საქართველოს ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგო მატჩი უკრაინის კოლექტივს.

გუშინ შედგა ფინალი, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ საქართველოსა და მოსკოვის კოლექტივები. საქართველოს ნაკრებმა ანგარიშით 8:5 მოუგო სტუმრებს და მოიპოვა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

ინტერვიუ კ. ბესკოვთან

ცნობილმა იტალიურმა სპორტულმა გაზეთმა „გაძეტო დელა სპორტმა“ გამოაქვეყნა თავისი მიმომხილველის ვოლენტინის ინტერვიუ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელთან კ. ბესკოვთან. ვათავსებთ ამ ინტერვიუს ერთგვარი შემოკლებით.

პირველი კითხვა შეეხო ცვლილებებს საბჭოთა ნაკრებში მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის შემდეგ. ბესკოვმა განაცხადა, რომ მარცხმა ჩილეში გამოიწვია საბჭოთა ნაკრებთან მუშაობის გარდაქმნა. ახლა სხვანაირი გზით წარიმართა მუშაობა ნაკრების ტექნიკური და ფსიქოლოგიური დონის ამაღლების მიზნით. საბჭოთა ნაკრებმა საბოლოოდ მიიღო თამაშის ბრაზილიური სქემა 4+2+4 ცალკეული ფეხბურთელების ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით. ახალი თაობის ფეხბურთელთა შორის ბესკოვმა დაასახელა ლობანოვსკი, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო იტალიელების ახალგაზრდა „ვარსკვლავ“ რივერასთან.

— რას გვეტყვით 13 ოქტომბრის მატჩზე იტალიისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის?

— ლაპარაკიც ზედმეტია, თუ როგორი გამარჯვების სურვილი გვაქვს როგორც მე, ისე ფაბრის. ახლა კი რაიმე გადაწყვეტილის თქმა შეუძლებელია, გარდა იმისა, რომ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი, რომელიც 103 ათას კაცს იტევს, გაჭედილი იქნება.

— რომელი ფეხბურთელები მოგეწონათ იტალიაში მოგზაურობის დროს?

— ყველაზე მეტად „რომას“ მეკარე კუდიჩინი, შემდეგ ამავე გუნდის მცველი ლოზი და ცენტრალური თავდამსხმელი სორმანი, მილანის „ინტერნაციონალედან“ კი ცენტრალური მცველი გვარნიერი, მარცხენა მცველი ფაკეტი, მარჯვენა გარემარბი, ბრაზილიელი ჟაირი.

— მიგაჩნიათ თუ არა რომ საბჭოთა ფეხბურთი იტალიურს ჩამოუვარდება?

— მე არ მიმაჩნია, რომ ეს ასეა.

— იტალიის გუნდებიდან რომელი ფეხბურთელის „სესხებას“ ისურვებდით?

— სუარესისას. იგი უდავოდ დიდი ფეხბურთელია.

— რას ფიქრობთ ფაბრის შესახებ?

— ფრიად ინტელიგენტური და სიმპათიური ადამიანია. იგი უღრესად მომზადებული სპეციალისტია და შემთხვევითი როდია, რომ იტალიის ფეხბურთის მესვეური გახდა.

— რით ხსნით მოსკოვის „დინამოს“ მიერ „ფიორენტინას“ დამარცხებას ანგარიშით 4:0?

— მოსკოვის „დინამო“ იმყოფება თავის საუკეთესო ფორმაში. საბჭოთა კავშირის გუნდები სწორედ ამ დროისათვის აღწევენ თავიანთ საუკეთესო ფორმის აღდგენას. რაც შეეხება „ფიორენტინას“, იგი, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირში გასტროლების დროს ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა.

☐ დაუმთავრებელი მშენებლობა.

☐ სტუმრად „ტაიფუნთან“.

☐ ფეხბურთი.

☐ ზღვა სავსეა მზით.

☐ ვინაა ჩოგბურთელი № 1?

დაიწყო ჰოკეისტთა პაექრობა

მოსკოვში, თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი ცენტრალური მატჩით დედაქალაქის გუნდებს ცსკა-სა და „დინამოს“ შორის, გაიხსნა საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატი ჰოკეიში.

მატჩი დაიწყო არმიელთა მძაფრი შტურმით და უკვე 33-ე წამზე „დინამოს“ კარი აღებულ იქნა. პირველი პერიოდის დამთავრებამდე ცსკა-მ კიდევ ორი შაიბა გაიტანა, რასაც მხოლოდ უკანასკნელ წუთზე უპასუხეს დინამოელებმა ერთადერთი გოლით. — 3:1.

შემდეგ არმიელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქნა და მატჩიც დამთავრდა მათი დამაჯერებელი გამარჯვებით — 10:2.

მიუძღვნეს მოსკოვის იუბილეს

კვირას მოსკოვში, ზუბოვის მოედანზე სტარტი მიეცა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის დაარსების აღსანიშნავ კომბინირებულ ესტაფეტას მოსკოვის საბჭოს პრიზზე და რამდენიმე საათის შემდეგ აქვე შედგა ფინიში. უკვე პირველი ეტაპიდან (800 მეტრზე რბენაში) დაწინაურდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრები და მანამდე ლიდერობდნენ, ვიდრე ქალთა 350-მეტრიან დისტანციაზე წინ არ წავიდნენ „დინამოს“ მესამე კოლექტივის სპორტსმენები. მალე ლიდერობა სტუდენტებმა დაიბრუნეს — ველოსიპედისტთა ეტაპი მოიგო ა. გავრილოვმა, ხოლო შემდეგ, როცა ესტაფეტა კვლავ მძლეოსნებმა მიიღეს, ი. ტიურინმა დააწინაურა დინამოელები, ხოლო ბოლო ეტაპზე ნიჩბოსნებმა გ. ბუხარინმა და ვ. კალინიცევმა საბოლოოდ განამტკიცეს დინამოელთა პოზიცია. გაიმარჯვა „დინამოს“ კოლექტივმა.

სტუმრად „ტაიფუნთან“

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ფრენბურთელები იმყოფებიან იაპონიაში, სადაც მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირში და ჩაატარებენ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას იაპონიის უძლიერეს გუნდებთან. იაპონიაში გამგზავრებამდე ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა საბჭოთა კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების მწვრთნელებს გ. ახვლედიანსა და ო. ჩეხოვს. მოგვყავს საუბრის შინაარსი.

— რა მიზანი აქვს თქვენს გამგზავრებას იაპონიაში?

გ. ახვლედიანი: სამი კვირის შემდეგ დაიწყება ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში. ეს ტურნე საუკეთესო საშუალებაა იმისა, რომ ბუქარესტში სტარტების წინ შემოწმებულ იქნას ჩვენი ვაჟთა გუნდის ძალები. გარდა ამისა, ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რამდენად გაიზარდა იაპონიის ნაკრები ამ უკანასკნელი წლის მანძილზე. უნდა ითქვას, რომ იაპონელთა ოსტატობა გასაკვირველად სწრაფად იზრდება. არის საფუძველი იმისა, რომ ოლიმპიური თამაშებისათვის იაპონელი ფრენბურთელები მიაღწევენ ოსტატობის იმ დონეს, რომელიც მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის სამ პრიზიორს აქვს. მე, როგორც საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრების მწვრთნელს, მინდა მქონდეს ზუსტი ცნობები ჩვენს მომავალ მეტოქეებზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ვიზიტი ამ ცნობების მიღებაში დაგვეხმარება.

ო. ჩეხოვი: მას შემდეგ, რაც უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში იაპონელმა ქალებმა „თავიანთი ვერცხლი“ „ჩვენს ოქროში“ გაგვიცვალეს, საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრები მოუთმენლად ელის კვლავ შეხვდეს თავის ძლიერ მეტოქეს. ჩვენ დიდიხანია დავიწყეთ მზადება ოლიმპიური თამაშებისათვის და ახლა იაპონიაში გამგზავრება სწორედ იმისათვის არის დაგეგმილი, რომ გამოვარკვიოთ ჩვენი ძალები. ამის შედეგად ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, თუ რამდენად სწორ მუშაობას ვატარებთ გუნდთან და კიდევ რა გვჭირდება იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონთა ტიტული დავიბრუნოთ.

— მოსკოვში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მოხდა თუ არა ცვლილებები საბჭოთა ნაკრები გუნდების შემადგენლობებში?

გ. ახვლედიანი: ვაჟთა ნაკრების ბირთვი ისევ ისაა, რაც იყო. ყოველ შემთხვევაში სასტარტო ექვსეულიდან ოთხი მოთამაშე — ი. ჩესნოკოვი, გ. მონძოლევსკი, დ. ვოსკობოინიკოვი და ნ. ბურობინი თავის ადგილებზე დარჩებიან. დანარჩენ ორ ვაკანტურ ადგილს ვინ დაიკავებს, ამის თქმა ახლა ძნელია. ეს დამოკიდებული იქნება მეტოქეთა თამაშის მანერაზე. სათადარიგოთა შორის არჩევანი დიდი გვაქვს. ესენი არიან: ი. ბუგაენკოვი, ბ. მერკულოვი, ვ. კოვალენკო, ე. სიბირიაკოვი, რომლებიც დააკმაყოფილებენ ყველაზე მომთხოვნ მწვრთნელსაც კი.

ო. ჩეხოვი: ხუთი სპორტსმენი, რომლებიც შარშანდელ ჩემპიონატში იღებდნენ მონაწილეობას, ახლანდელ ნაკრებში სხვადასხვა მიზეზების გამო არ არიან. ზოგი მათგანი შეცვალეს ახალგაზრდა ფრენბურთელებმა, ზოგიც ავადმყოფობის გამო ამჟამად ვერ ითამაშებს. ისევე როგორც იაპონიაში, ევროპის ჩემპიონატზეც არ წავლენ ლ. ბულდაკოვა, ს. პლისმანე, ლ. სტრელნიკოვა, ნ. ზადოროჟნაია და ლ. კონოვალოვა. ასე რომ, ცვლილებები საკმაოდ დიდია. ისეთ გამოცდილ ფრენბურთელებთან ერთად, როგორებიც არიან ა. რიჟოვა, თ. ტიხონინა, ლ. მიხაილოვსკაია, ვ. ვოლოშჩუკი, ა. კრაშენიკოვა, ტოკიოში გამოვლენ აგრეთვე ახალგაზრდა სპორტსმენები ი. რისკალი, ვ. კამენეკი, ტ. როშჩინა და ლ. ალექსანდროვა.

— ფიქრობთ თუ არა იაპონიაში თქვენი ძალების სრულად გამოჩენას?

გ. ახვლედიანი: საბჭოთა ნაკრების თამაშის მანერა ყველა ჩვენს მეტოქისათვის ცნობილია. ისინი იცნობენ ჩვენს წამყვან მოთამაშეებსაც. ჩვენი თამაშის მანერაში ცვლილებები არ მომხდარა. როგორც ადრე, მე მთავარ იმედებს ჩვენს მძლავრ თავდასხმაზე ვამყარებ. უფრო მეტს ვიტყვი, ჩვენ ვზრდით თავდასხმითი სტილის მოთამაშეების რიცხვს. თუ ადრე ოთხი თავდამსხმელი გვყავდა, ახლა ხუთი გვეყოლება. მიმწოდებლის როლს მარტო გ. მონძოლევსკიც კარგად შეასრულებს. ასე რომ, არაფერი გვაქვს დასამალი არც იაპონელებისათვის და არც სხვა სპეციალისტებისათვის. ვითამაშებთ მთელი ძალით, რასაკვირველია იმ პირობით, თუ ჩვენს სპორტსმენებს დაღლას არ შევამჩნევთ. თუ კი ასეთი ვითარება შეიქმნა, ვეცდებით ძალები შემოვინახოთ ევროპის ჩემპიონატისათვის.

ო. ჩეხოვი: ჩვენი კონტრ-ღონისძიებების გამოაშკარავება არ გვინდოდა, მაგრამ სხვა გზა არ არის. ეს სიახლე ახლავე და სწორედ იაპონელებთან უნდა გამოვცადოთ, რადგან დრო არ ითმენს.

— ახლანდელი ნაკრები გუნდები საბჭოთა კავშირის ოლიმპიური გუნდებია?

გ. ახვლედიანი: დიახ, თითქმის 100 პროცენტით. თუ კი მოხდა ცვლილებები, იგი მნიშვნელოვანი არ იქნება. ჯერჯერობით მე ასე მგონია.

ო. ჩეხოვი: ქალთა გუნდს ვხელმძღვანელობ სულ რაღაც ერთი წელია. მე და მეორე მწვრთნელ მ. ვინერს გვგონია, რომ შევარჩიეთ ყველაზე მძლავრი შემადგენლობა და ვფიქრობთ, ეს შემადგენლობა ოლიმპიადისათვის არ შეიცვლება. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მომავალი ტურნე იაპონიაში და ჩემპიონატი ევროპაში. სწორედ ამ ორი ტურნირის შემდეგ შეგვეძლება ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა.

* * *

უკანასკნელი საათის!

პირველი შეხვედრის შედეგები

ჩვენი ფრენბურთელები უკვე ჩავიდნენ იაპონიაში და გასულ კვირას ხიროსიმაში შეხვდნენ იაპონიის ვაჟთა ნაკრებს. მატჩის შედეგი სენსაციურია — საბჭოთა ფრენბურთელები დამარცხდნენ „მშრალი“ ანგარიშით — 0:3 (12:15, 15:17, 14:16). ეს მატჩი გადაცემულ იქნა ტელევიზიით და იგი მრავალმა მილიონმა იაპონელმა ნახა. ქალთა გუნდები თამაშობდნენ კიოტოში. საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა იაპონიის მეორე ნაკრები — 3:0 (15:12, 15:13, 17:15).





დაუმთავრებელი მშენებლობა

სამტრედიელმა სპორტის მოყვარულებმა დიდი სიხარული განიცადეს, როცა შეიტყეს, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მხარდაჭერით დაიწყო „ლოკომოტივის“ სპორტდარბაზის კაპიტალური რემონტი და რეკონსტრუქცია. სამუშაოთა დამთავრების შემდეგ სამტრედიელები მიიღებდნენ ახალ, კეთილმოწყობილ დარბაზს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა რესპუბლიკურ ღონისძიებათა გამართვა ფრენბურთში, კალათბურთში, ტანვარჯიშში. დარბაზის რეკონსტრუქცია სწრაფი ტემპით დაიწყო და სამუშაოთა თითქმის ნახევრის შესრულების შემდეგ... მუშაობა შეწყდა. ეს იყო 1961 წელს.

ახლა მომავალი დარბაზის კედლები სანახევროდაა ამოყვანილი, მის ირგვლივ საკმაო რაოდენობით ყრია სამშენებლო მასალა, მოსახლეობამ მომავალი დარბაზი საქონლის ფარეხად გამოიყენა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე გაზეთმა „ლელომ“ და საქართველოს ტელეგადაცემათა ახალგაზრდულმა რედაქციამ ამხილეს დარბაზის მშენებლობის სავალალო მდგომარეობა. ატეხილი ხმაურის შედეგად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებას დაავალა მიმდინარე წლის ბოლომდე დაემთავრებინა მშენებლობა, მაგრამ... დაიწყო მეოთხე კვარტალი, საქმე კი წინ არ იძვრის.

ეს სურათები გვიჩვენებენ სამტრედიის „ლოკომოტივის“ სპორტული დარბაზის გარე და შიდა ხედს.

გ. კალაძე,
ჩვენი საკ. კორესპონდენტი.

კორესპონდენტები გვატყობინებენ

ცხინვალი

ცხინვალში ჩატარდა მეხანძრეთა ზონალური შეჯიბრება. მონაწილეობდნენ ცხინვალის, გორის, მარნეულის, ბოლნისისა და კასპის მეხანძრეთა რაზმების ნაკრები გუნდები. პროგრამაში იყო: 100 მეტრზე რბენა დაბრკოლებების გადალახვით, ამანათრბენა 4×100 მეტრზე ცეცხლის ჩაქრობით, გასახსნელი კიბე და სახანძრო გაშლა. ყველა ამ სახეობაში გამარჯვებული გამოვიდა ცხინვალის გუნდი.

100 მეტრზე რბენაში დაბრკოლებების გადალახვით პირად პირველობაზე გაიმარჯვეს ცხინვალელმა მეხანძრეებმა ა. გაბარაევმა, ხ. ხანიკაევმა და ნ. ზუბაშვილმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა ცხინვალმა, მეორე — გორმა, მესამე — ბოლნისმა.

ვ. მელქოევი

ყვარელი

ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფლის საშუალო სკოლამ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა მწვერვალ ჯვარაზე (კავკასიონის ქედი). მონაწილეობდა 25 მოსწავლე. თავი გამოიჩინეს ნ. მორთიშვილმა, ც. ჯამიაშვილმა, ო. ცოკიაშვილმა და ზ. ჯოხაძემ.

გ. ჟონჟოლაძე

კოლექტივები ფორმალურად არსებობენ

ზუგდიდის რაიაღმასკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურულ-კომკავშირული აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარეები, სკოლის დირექტორები, წარმოების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი კადრები.

კრებაზე მოხსენებით — „ზუგდიდის რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ,“ — გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო ზონის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ო. მესხია. მომხსენებელმა ილაპარაკა რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე. ზუგდიდის რაიონის ბევრი ფიზკულტურის კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, ამ მხრივ კარგადაა დაყენებული საქმიანობა ინგირის ჩაის საცდელ ფაბრიკა-მეურნეობის, ხეთის, ხეცერის, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის, ხობის, ჯვარის, ცაიშის, ორსანტიის, ანაკლიის საშუალო სკოლების, ჩაის საწნეხი ფაბრიკის, ჩაის პირველი ფაბრიკის და სხვა ფიზკულტურის კოლექტივებში. მომხსენებელმა აღნიშნა კორსანტიისა და რუხის სხულუხიას სახელობის კოლმეურნე ახალგაზრდობის ინიციატივა კოლმეურნეობასა და ყველა ბრიგადაში მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ. მოხსენებაში ფართო ადგილი დაეთმო ფიზკულტურულ-კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებას. მთელი შესაძლებლობანი არაა გამოყენებული ფიზკულტურის კოლექტივების ორგანიზებულად განმტკიცებისათვის, რის გამო ზოგიერთი კოლექტივი ფორმალურად არსებობს. მიმდინარე წელს არც ერთი სახის შიდასაკოლექტივო შეჯიბრება არ ჩაუტარებიათ და რაიონულ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიუღია ჭითაწყარის, ლიის, ნარაზენის, დარჩელის, ორულუს, პირველი ხორგის, პირველი მაისის, შუა ქვალონის, ძველი ხიბულისა და სხვა სოფლების საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივებს. დასახელებული ორგანიზაციების ხელმძღვანელები და კომკავშირული ორგანიზაციები გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრების, მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობის, სპორტსმენების მომზადების საქმეში.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კ. მატუამ (ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე), ვ. სხულუხიამ (რუხის სხულუხიას სახელობის საკოლმეურნეო კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი), შ. ჩანგელიამ („კოლმეურნის“ ზუგდიდის რაისაბჭოს თავმჯდომარე), მ. პაჭკორიამ („სპარტაკის“ ზონალური საბჭოს თავმჯდომარე), რ. ბულიამ (განათლების განყოფილების გამგე), ჯ. გაფრინდაშვილმა (ზუგდიდის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე), გ. შეროზიამ (ზუგდიდის სასოფლო-საწარმოთა პარტიული კომიტეტის ინსტრუქტორი). სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს რა ნაკლოვანებანი, დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

გ. ალშიბაია.

მეგობრული

არმიების ტურნირზე

ბუდაპეშტში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში გამოდიოდნენ: ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ს, მონღოლეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭიდავეები.

წარმატებით გამოვიდნენ შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც მოიპოვეს 6 ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი. ჩვენმა გუნდმა დააგროვა 45 ქულა და საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ უნგრეთის ნაკრებს. ბულგარელები აღმოჩნდნენ მესამე ადგილზე.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. კევორკოვი (სსრკ), ზ. დინევი (ბულგარეთი), ა. პტიცინი, ი. გუსოვი, ნ. აქსიონოვი, ა. ალბული (ყველა საბჭოთა კავშირიდან), ი. ვიგი (უნგრეთი), ა. ივანიცკი (სსრკ). მეორე ადგილი დაიკავა კ. ლივამ (ქვემძიმე წონა), მესამე — ზ. მჭედლიშვილმა (მჩატე წონა).

სამ დისტანციაზე ათასი სპორტსმენი

ასეთი მასობრივი ღონისძიება კარგა ხანია არ ჩატარებულა თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. კვირას აქ ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების XIII ყრილობისადმი მიძღვნილ მძლეოსნურ კროსში მონაწილეობისათვის თავი მოიყარა „სპარტაკის“ კოლექტივების ათასამდე ფიზკულტურელმა, რომლებიც გამარჯვებისათვის იბრძოდნენ 500, 800 და 1000 მეტრზე რბენაში.

პირველად სტარტი აიღეს 500 მ მორბენალმა გოგონებმა. 370 მონაწილე დაყოფილ იქნა 14 ჯგუფად. უკვე პირველი გარბენის 32 მონაწილედან უძლიერესებმა, მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდის წევრებმა ლ. სავჩენკომ და მ. პეტროვამ დისტანცია გაირბინეს შესაბამისად 1.28,3 და 1.32,0-ში და აჩვენეს III თანრიგის შედეგები. როცა გოგონათა შეჯიბრება დამთავრდა, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ორი სპორტსმენი შეწყდენოდა მესამე თანრიგს, მესამე პრიზიორს ლ. მელაშვილს (პოლიტექნიკური ტექნიკუმი), რომელმაც ყველაზე კარგი დრო — 1.32,2 — აჩვენა IV გარბენში, მხოლოდ 0,2 წამი დააკლდა ამ თანრიგამდე. სამაგიეროდ, სტარტზე გამოსულთა უმეტესობამ შეასრულა ჭაბუკთა I თანრიგის ნორმატივი.

ამავე დისტანციაზე ქალთა შორის მოეწყო 4 გარბენი. სტარტზე გამოსული 103 სპორტსმენიდან არავის ჰქონდა მაღალი მაჩვენებელი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მათგან მხოლოდ ორმა ვ. შტანკომ (საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი) — 1.35,4 და ე. გრომოვამ (ტრამვაის დეპო № 1) — 1.40,0 აჩვენეს ჭაბუკთა I თანრიგის შედეგი. მესამე პრიზიორი ნ. ლეშჩინინა (პოლიტექნიკური ტექნიკუმი) გამარჯვებულს 6,4 წამით ჩამორჩა.

ჭაბუკები ძალებს ცდიდნენ 800 მეტრზე. ამ დისტანციაზე მეორე თანრიგის ნორმატივი არ არსებობს, მაგრამ სპორტსმენთა ერთი ნაწილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენეს, ვიდრე მესამე თანრიგი ითვალისწინებდა. 407 მონაწილიდან ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა მეთერთმეტე გარბენში უძლიერესი კ. ჩილინგარიშვილი (საფინანსო ტექნიკუმი), მისი მაჩვენებელი 2.03,8 მესამე თანრიგს 11,2 წამით აღემატება. მომდევნო ადგილები დაისაკუთრეს ი. დიომინმა, რომელიც პირველი იყო V გარბენში — 2.05,4 და თ. ვარაზაშვილმა (ორივე მანქანათმშენებლობის ტექნიკუმიდან) — 2.08,0. ვარაზაშვილი ფინიშზე პირველი იყო VII გარბენში.

ვაჟებისათვის კროსი გაიმართა 1000 მეტრზე. ამ დისტანციაზე რბენის მონაწილენი გაცილებით უკეთესად მომზადებულნი აღმოჩნდნენ, რაზეც ნათლად მეტყველებს გამარჯვებულთა შედეგებიც. უძლიერესმა ზ. მეკოშკიშვილმა (მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი), რომელიც მეორე გარბენში გამოდიოდა, აჩვენა 2.40,4 და 5,4 წამით აჯობა ამავე გარბენის მონაწილეს, თანაგუნდელ ი. ხანუკაშვილს. შეჯიბრების მესამე პრიზიორი გამოავლინა V გარბენმა. მ. კაპანაძემ (სასადილოების ტრესტი) რბენა დაამთავრა 2.53-2-ში. სამივე სპორტსმენმა შეასრულა მეორე თანრიგი.

ო. იველაშვილი

★

ჭაბუკთა 800-მეტრიანი კროსის ტრასა საკმაოდ რთული იყო. მონაწილეებს დასაძლევი ჰქონდათ აღმართი, საკმაოდ გრძელი დაღმართი და რამდენიმე ძნელი მოსახვევი.

სურათებზე: ზევით — ჭაბუკთა გარბენის მონაწილენი დისტანციაზე. ქვევით — გოგონებმა აიღეს სტარტი.

★

ოთხი ახალი ჩემპიონი

გასულ კვირას სპორტის სასახლეში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირადი პირველობის გათამაშება სამბოში.

ჩემპიონატის დაწყებამდე მთავარ ფავორიტად უმძიმეს წონაში ითვლებოდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ბ. კარნიუშინი. იგი ძალზე ახლოს იდგა ამ ტიტულთან წელსაც, მაგრამ უკანასკნელ ბრძოლაში ახალგაზრდა არმიელთან ვ. სავჩენკოსთან მან „დაჰკარა ფარ-ხმალი“. ჩემპიონს არც ერთხელ არ უცდია ბრძოლის გამწვავება, პირიქით, იგი შეგნებულად გაურბოდა აქტიურ ბრძოლას, რისთვისაც მსაჯებმა გაფრთხილებაც კი მისცეს. სავჩენკო გარდა იმისა, რომ უძლიერესი იყო თავის წონით კატეგორიაში, სპეციალური ჯილდოც მიიღო, როგორც ტურნირის საუკეთესო ტექნიკოსმა.

დრამატული ფინალით აღინიშნა გადამწყვეტი ბრძოლები ქვემსუბუქ წონაში. დიდხანს პირველი ადგილის რეალურ შანსებს ინარჩუნებდა ა. მარტყოფლიშვილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისთვის საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონზე ო. სტეპანოვზე გამარჯვება. მარტყოფლიშვილმა თითქოს გაიკაფა კიდეც გზა პირველი ადგილისაკენ, მაგრამ სწორედ უკანასკნელ ბრძოლაში, იქ, სადაც ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა მას გამარჯვება, ქართველმა ოსტატმა პასიურობა გამოიჩინა. არმიელი ა. ილიუშინი ფსიქოლოგიურად უფრო მომზადებული აღმოჩნდა ფინალური შეხვედრისათვის და მოიგო კიდეც ბრძოლა. ამ გამარჯვებამ ახალგაზრდა არმიელს პირველი ადგილი მოუტანა უძლიერესთა ტურნირში.

ქვესაშუალო წონაში პირველობისათვის იბრძოდნენ ზ. მუხიაშვილი, ს. ჩიტაშვილი და ა. ფუხაშვილი. აქ ყველაფერი გადაწყვიტა გამოცდილებამ. ზ. მუხიაშვილმა, რომელმაც წარუმატებლად დაიწყო ტურნირი, შემდგომში გარდაქმნა ბრძოლის სტილი და დამაჯერებელი ფინიშით პირველი ადგილი მოიპოვა.

სენსაციურ ხასიათს ატარებდა უკანასკნელი შეხვედრები ქვემძიმე წონაში. მთავარი მოულოდნელობა იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის დ. ბერუაშვილის წარუმატებელი გამოსვლა, რომელიც პრიზიორთა შორისაც კი ვერ მოხვდა. მეორე არანაკლები სენსაცია იყო ა. ზურაბაულის მარცხი ახალგაზრდა ა. იუდინთან. ყველაფერმა ამან გარკვეული დაღი დაასვა პრიზიორთა შემადგენლობას. ჩემპიონი ქვემძიმე წონაში ა. იუდინი გახდა.

მოგვყავს ჩემპიონატის საბოლოო შედეგები: **უმძიმესი წონა** — 1. ვ. სავჩენკო, 2. ბ. კარნიუშინი (ორივე საბჭოთა არმია), 3. ლ. კაციაშვილი („კოლმეურნე“).

ქვემსუბუქი წონა — 1. ა. ილიუშინი, 2. ო. სტეპანოვი (ორივე საბჭოთა არმია), 3. ა. მარტყოფლიშვილი („დინამო“).

ქვესაშუალო წონა — 1. ზ. მუხიაშვილი („დინამო“), 2. ს. ჩიტაშვილი (საბჭოთა არმია), 3. ა. ფუხაშვილი („დინამო“).

ქვემძიმე წონა — 1. ა. იუდინი, 2. ა. ზურაბაული, 3. ვ. რომანოვსკი (ყველა „ბურევესტნიკი“).

• • •

სურათზე: საბჭოთა კავშირის 1963 წლის ჩემპიონი ზ. მუხიაშვილი.

ფეხბურთი

„ბ“ კლასი

„დინამო“ (ბათუმი)-„მეტალურგი“ (რუსთავი) — 3:2

6 ოქტომბერს ბათუმში გაიმართა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს რუსთავის „მეტალურგი“.

თამაში საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ბურთის გატანა.

მეორე ტაიმი დაიწყო ბათუმელთა სწრაფი იერიშით. მე-3 წუთზე ურუშაძემ კარგად მოაწოდა კუთხური ბურთი და ანგარიში გახსნილ იქნა. მცირე ხანს შემდეგ რუსთაველთა მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს საჯარიმო მოედანზე და საკუთარ კარში გაიტანეს ბურთი — 2:0. მე-17 წუთზე დანელიამ ზუსტი დარტყმით დაამთავრა ურუშაძისა და შაფათავას მიერ გათამაშებული კომბინაცია და კიდევ უფრო წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 3:0.

დინამოელებმა, ეტყობა, საქმე მოთავებულად მიიჩნიეს და მოუკლეს თამაშს, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს სტუმრებმა. მატჩის დამთავრებამდე ხაბეიშვილმა შეძლო ორი საპასუხო ბურთის გატანა და საბოლოოდ ბათუმელებს გამარჯვება დარჩათ ანგარიშით 3:2.

ვ. მოსეშვილი

• • •

ამ ზონაში კიროვობადის „დინამო“ ტალინში დამარცხდა ადგილობრივ „დინამოსთან“ — 1:3.

უსტ-კამენოგორსკი. 6 ოქტომბერს აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ვოსტოკმა“ მიიღო ზონის ლიდერი — თბილისის „ლოკომოტივი“.

თბილისელებმა მატჩი წააგეს ანგარიშით 0:1.

• • •

ალმა-ატაში ადგილობრივი ადკასა და ფოთის „კოლხიდას“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

• • •

ამ ზონის მეორე ლიდერი, ლენინაკანის „შირაქი“ ერთ ქულას დაჯერდა ჩირჩიკის „ხიმიკთან“ მატჩში — 0:0.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	29	19	4	6	53—23	42
„დინამო“ (მოსკოვი)	28	16	9	3	34— 9	41
„დინამო“ (თბილისი)	29	13	11	5	45—31	37
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	31	12	13	6	40—28	37
ს კ ა (როსტოვი)	30	15	6	9	52—28	36
„დინამო“ (კიევი)	29	14	8	7	56—37	36
„დინამო“ (მინსკი)	29	13	10	6	36—22	36
ც ს კ ა	29	11	14	4	24—16	36
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	29	13	7	9	38—36	33
„ტორპედო“ (მოსკოვი)	29	10	11	8	36—30	31
„შახტიორი“ (დონეცკი)	29	9	11	9	23—24	29
„ტორპედო“ (ქუთაისი)	28	6	13	9	16—27	25
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	29	5	14	10	30—38	24
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	31	6	11	14	21—43	23
„არარატი“ (ერევანი)	29	8	6	15	31—43	22
„დინამო“ (ლენინგრადი)	31	5	12	14	30—44	22
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	30	8	5	17	32—43	21
„კაირატი“ (ალმა-ატა)	28	7	6	15	19—42	20
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	29	3	13	13	16—37	19
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	30	3	10	17	29—60	16

• • •

„დინამო“ (ლენინგრადი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 0:0
სკა (როსტოვი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 4:0
„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 2:1
„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 1:1

ვინაა ჩოგბურთელი №1?

ორი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში სამყაროს უძლიერეს ჩოგბურთელად მოყვარულთა შორის ითვლებოდა ავსტრალიელი რ. ლეივერი, რომელიც იმარჯვებდა უიმბლდონში (მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი) და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებაშიც. მის უპირველეს მეტოქედ კი ავსტრალიელ რ. ემერსონს თვლიდნენ. წელს ლეივერი უკვე პროფესიონალებში გამოდის, ემერსონმა კი ვერ დაამტკიცა თავისი უპირატესობა სხვებთან შედარებით.

მოგვყავს წლევანდელი სეზონის უმნიშვნელოვანესი ასპარეზობების შედეგები:

ავსტრალიის ჩემპიონატი — ვაჟთა შორის გაიმარჯვა ემერსონმა, ქალთა შორის — სმიტმა.

იტალიის ღია ჩემპიონატი — ვაჟთა შორის გაიმარჯვა მილიგანმა (ავსტრალია), ქალთა შორის — — სმიტმა (ავსტრალია).

საფრანგეთის ღია ჩემპიონატი — ვაჟთა შორის გაიმარჯვა ემერსონმა, ქალთა შორის ტურნერმა (ავსტრალია) უიმბლდონის ასპარეზობაში (ინგლისის ღია ჩემპიონატი, მსოფლიოს არაოფიციალური პირველობა მოყვარულთა შორის) ვაჟთა შორის გაიმარჯვა მაკ კინლიმ (აშშ), ქალთა შორის — სმიტმა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დარჩა მილიგანს (ავსტრალია), ქალთა შორის — სმიტს, ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატში—ვაჟთა შორის გაიმარჯვა ოსუნამ (მექსიკა), ქალთა შორის — ბუენომ (ბრაზილია).

ამგვარად, თუ ქალთა შორის პირველ ადგილზე შეიძლება სმიტი იქნას მიჩნეული, ბევრად უფრო ბუნდოვანია მდგომარეობა ვაჟთა შორის. აქ ემერსონთან პირველი ადგილის პრეტენზია ჰქონდა მილიგანს, ოსუნას და განსაკუთრებით კი — მაკ კინლის, როგორც უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებულს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ესაა ჩოგბურთელთა ახალი თაობა. მარგარეტ სმიტი მხოლოდ 20 წლისაა, მარტინ მილიგანი კი — 23 წლის.

რევანშისტული ტანვარჯიში

„ჩვენი მიზანი არა მარტო კუნთების, არამედ გონების ტანვარჯიშიც არის“, — ამ სიტყვებს ხშირად წაიკითხავთ ავსტრიის ტანვარჯიშული კავშირის გაზეთ „ბუნდესტურნცეიტუნგში“. თუ რა არის „გონების ტანვარჯიში“, ამას თქვენ მაშინვე გაარკვევთ, როცა კი გადაფურცლავთ გაზეთის რამდენიმე ნომერს. რევანშიზმის გაღმერთება, ჰიტლერული ბოდვითი იდეების ქება. აი ამ გაზეთის საქმიანობა. ამას წინათ გაზეთმა დაბეჭდა შემდეგი: „არასდროს დავივიწყებთ თავისუფლებისათვის გმირ გერმანელ მებრძოლს ალბერტ ლეო შლაგეტერს, მისი სახელი ავსტრიის ახალგაზრდობის სიმბოლოა!“ ვინ არის ალბერტ შლაგეტერი? თურმე ნუ იკითხავთ, იგი ჰიტლერულ მოხალისეთა კორპუსის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და აქტიური წევრი ყოფილა, კაცმა, რომელმაც დიდი ენერგია დახარჯა, რომ ჰიტლერული პარტია ხელისუფლების სათავეში მოქცეულიყო, აი რა სწერია შლაგეტერზე წიგნში: — „გერმანული ნებაყოფლობითი კორპუსი“, რომელიც გამოცემულია მესამე რეიხის პერიოდში: „ერთ-ერთი პირველი ადამიანი, რომელიც სპირდებოდა გერმანიას, იყო ალბერტ შლაგეტერი. ამ კორპუსის ორი ხელმძღვანელი ბერლინიდან ჩამოვიდა მიუნჰენში. ჰიტლერს საუბარი ჰქონდა მათთან, ალბერტ შლაგეტერიც იყო ამ პატარა წრეში და აღფრთოვანებული ახალი ამოცანებით, დიდი მიზნებით დაბრუნდა ჩრდილოეთში“. და ასეთი „მდიდარი“ წარსულის მქონე ადამიანი ითვლება ავსტრიის სპორტული ახალგაზრდობის იდეალად! რა კავშირი აქვს შლაგეტერს სპორტთან? თურმე მას დიდი სპორტული გარეგნობა ჰქონია. აქებს რა ნაცისტებს, ავსტრიის ტანვარჯიშული სპორტული კავშირის გაზეთი, მოუწოდებს „გერმანული რევანშისაკენ“ და „ავსტრიის შეერთებისაკენ რეინთან“. როგორც ირკვევა, უკვე მივიწყებული „აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობა“ ყოფილა ამ კავშირის „გონების ტანვარჯიშში“.

ორი კურდღლის მადევარი

მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები უკვე გაცხოველებით ემზადებიან ოლიმპიური თამაშებისათვის. ზოგი მოუთმენლად ელის ინსბრუკის თეთრი ოლიმპიადის დაწყებას, ზოგი კი ოცნებობს გაიმარჯვოს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. რთული ამოცანის წინაშე დგას ფინელი სპორტსმენი იორმი კორტელაინენი. იგი ხომ თავისი ქვეყნის ჩემპიონია 15 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში და კანოეთი ნიჩბოსნობაში. კორტელაინენი ემზადება როგორც ინსბრუკში, ისე ტოკიოში გასამგზავრებლად. მან უნდა დაასაბუთოს (ან პირიქით) მონადირისა და ორი კურდღლის ანდაზის სისწორე.



მზით სავსე ზღვა

გიორგი სანადირაძე

მთელი კვირა ბერიკაცი შინ იჯდა. დიდრონი, მუქი ღრუბლები მშვიდად მიცურავდნენ ცაზე. მოხუცი აუჩქარებლად ალებდა ღარაბებს და ქუჩას გაჰყურებდა. იქვე, კარებთან, სათევზაო საჭურველი ეყარა. ძუა, ბადე, ანკესი, საკეცი ჰოკები და სპინინგი. ყველაფერზე მტვერი იდო და ყველაფერი ერთად დაეხვავებინათ. მოხუცი ამოიხვნეშებდა. მზის ყურს მიეფიცხებოდა და ჩიბუხს ტენიდა. ოთახი ივსებოდა დამათრობელი ბოლის სუნით. მოხუცს თვალები ჩავარდნოდა, უპეები წამოსიებოდა და ძალზე მომცრო კაკლები არც ჩანდნენ ბუდეებიდან. მემედი უსმენდა ზღვის შხუილს. გულალმა იწვა. ფიქრობდა. იქ, შორეულ წარსულში იგი თავის სიჭაბუკეს ხედავდა. ეს სიჭაბუკე თავისკენ უხმობდა, ელოლიავებოდა და ოცნებებით ავსებდა. ბერიკაცი ხედავდა მიმოქცევის მერე დარჩენილ კუნძებს. ხედავდა როგორ დატრიალებდნენ ვეება ანძებს თეთრი თოლიები. ხედავდა მეთევზეთა მრუმე ნავებს და ზღვის შხუილს უსმენდა. ზღვის შხუილი დიდების სიმღერასავით ჩაესმოდა და ეს სიმღერა განვლილი სიჭაბუკესავით ლამაზი და ბობოქარი იყო.

...იმ შორეულ წლებში ძალზე ძნელი იყო ლუკმაპურის შოვნა. ბათუმის ნავსადგურში ხშირად ხედავდნენ ჩაფსკვნილსა და ფართობეჭებიან ჭაბუკს, რომელიც ხან ერთ და ხან მეორე გემთან ტრიალებდა სამუშაოს მოლოდინში. მაგრამ სარფიანი დღე იშვიათად თუ ვაუთენდებოდა. დაბოლოს, დაღლილი, ჩრდილოეთის ცივი ქარებით გატეხილი, იქვე, ნაპირზე ამოთრეული კარჭაპის ქვეშ იძინებდა პორტის მტვირთავებთან ერთად.

იმ ზაფხულს მემედი მეხავე გახდა. ნავი განუწყვეტლივ მოძრაობდა რეიდზე გასულ ხომალდებსა და ნავსადგურს შორის. დღის ბოლოსთვის ფიჭვის მჩატე ნიჩბები ძალზე მძიმდებოდნენ. ეჩვენებოდა, ვეღარასოდეს გამართავდა დაბუჟულ ფეხებს, ვერც თავისუფლად ამოისუნთქავდა. ნავის პატრონი ყოველი გადაყვანილი მგზავრიდან ოთხ კაპიკს იღებდა. ოთხ მენავეს აქედან ძალზე მცირე საზღაური უწევდა. ასე მძიმე ოფლით ნაშოვნი გროშებით იგი ნახევარ მჭადს, ყველის ნატეხს და ერთ კათხა შემწვარ წაბლს ყიდულობდა... ხანდახან ფულის შოვნის იმედით, ნავი ქარიშხლიან ამინდშიაც აუშვიათ. ზღვა ბორგავდა, აბრუნებდა ნავს და მემედს, ვინ უწყის, რამდენჯერ ამოუთრევია ფსკერიდან ჩაძირული ჩემოდნები, ჩანთები, ტომრები. ვინ იცის, რამდენჯერ უხსნია დახრჩობისაგან მთვრალი მეზღვაურები, რომლებიც ცურვით ფიქრობდნენ თავიანთ გემებზე დაბრუნებას.

მემედ ბედიას ბათუმის პორტში კარგი მყვინთავისა და მოცურავის სახელი გაუვარდა. ეს გასაგებიც იყო, მემედმა საკუთარი ხელისგულივით იცოდა ბოლაზის მთელი ფსკერი, თითქოს ლოტით გაეზომა და შეესწავლა მისი ყოველი კუნჭული.

— ზღვა მიზეზიან გოგონასა გავს, — იტყოდა ხშირად. — არ იცი, რა დროს მოწკურავს წარბებს და გაგებუტება. — მემედი წიგნივით სწავლობდა ზღვას. მაგრამ ზღვას გამოუცნობი, დაუწერელი კანონები გააჩნია, რომლებიც მხოლოდ საკუთარ ალღოსა და გუმანს უნდა დაუქვემდებარო.

და არაფერია აქ გასაკვირი, თუ მემედ ბედია ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინაც ბათუმში ახალგახსნილ მაშველთა სადგურში დაიწყო მუშაობა.

• • •

მემედი დილაბნელზე გადიოდა შინიდან. იგი სამსახურს სწორედ მაშინ იწყებდა, როცა ბურუნ-ტაბიეს კონცხზე მეთვალყურე ფარანს ჩააქრობდა. ამ დროს მემედიც აუშვებდა ანძაზე თეთრ ალამს, მასზე ლუზა ეხატა. მაგრამ მემედს მეორე ალამიც ჰქონდა — წითელი, რაც ქარიშხლის მოახლოებას მოასწავებდა და ბანაობა სასტიკად აკრძალული იყო.

ჩვეულებრივ, „თეთრი ალმის“ დღეებში მემედი თავისი ნავის კიჩოზე იჯდა. იჯდა თვალმინაბული, ერთი შეხედვით ძალზე დაღლილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა,



რომელსაც ვერაფრით ვერ წამოაყენებდი ფეხზე. ზანტი იყო მისი თითების მოძრაობაც, როცა თხელ, სიფრიფანა ქაღალდში თუთუნს ახვევდა. თმები წითელი ხილაბანდით წაეკრა. მზესა და მარილისაგან კანი გარუჯოდა, თმები გახუნებოდა. აი, მენავემ გვერდი იბრუნა და ისევ მილულა თვალი. სინამდვილეში კი ამ მოჭუტული თვალებით კარგად ხედავს მთელ ნაპირს, აღიქვამს მთელ სივრცეს მწვანე ბორცვებამდე. მისი დაძაბული სმენა იჭერს ყოველ ხმას, წამოძახილს, და რაოდენ სწრაფია იგი, როცა წამით ჩამოწოლილ სიჩუმეში ჩაესმის დასახრჩობად განწირული ადამიანის ხმა. მამაკაცი სწრაფად გარბის ქვიშაზე. ქვიშა წვეტიანია, ხურვალი და ფეხისგულებს წვავს. მაგრამ მამაკაცი მხედველობის არედან არ უშვებს იმ ადგილს, საიდანაც ძახილი მოესმა. თოკითა და მაშველი ტივტივათი აღჭურვილი იგი უკვე ზღვაშია..

ამის მერე ადგილობრივ გაზეთებში ჩნდებოდა ძუნწი, ლაკონიური ქრონიკა: რომ ამა და ამ დროს, ამა და ამ ადგილას რომელიღაც მოცურავე ზღვამ გაიტაცა...

ყოველ ქრონიკას ბოლოს მოსდევდა სტრიქონი: „საბედნიეროდ ბათუმელი მაშველი სადგურის მუშაკი მემედ ბედია ადგილზე აღმოჩნდა...“ ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ადამიანთა სიცოცხლეს აღარ ემუქრებოდა საფრთხე.

მემედი ამ დროს მოშორებით ზის, წურავს თავის წითელ ხილაბანდს. ბოლოს ნავის ქიმზე გაიშოტება. იღებს სიფრიფანა ფურცელს და თუთუნს ახვევს. და მხოლოდ ჩანაწერი, რომელიც ბათუმის მაშველი სადგურის წიგნში რჩება, მეტყველებს იმაზე, რაოდენ დიდი ტრაგედია შეიძლებოდა დატრიალებულიყო, ეს წითელხილაბანდიანი ჯმუხა მამაკაცი, დროზე რომ არ შესულიყო ზღვაში.

1934 წლის აგვისტოს შემდეგ ბათუმის მაშველი სადგურის წიგნში მემედის გვარი აღარაა მოხსენიებული. მისი ადგილი უფროსმა ვაჟმა მეჯიდმა დაიკავა. უკანასკნელი ჩანაწერის ისტორია ასეთია:

მზე რახანია ჩავიდა. დასავლეთი ალისფრად ელვარებდა და მემედის უფროსმა ვაჟიშვილმა ჩამოხსნა თეთრი ალამი, რითაც დღის დასრულება აუწყა პლაჟზე გამოფენილ ხალხს. მეჯიდს სადღაც ეჩქარებოდა. მან ტანზე ჩაიცვა და წავიდა.

(დასასრული იქნება).



რეპორტაჟი შეჯიბრების ადგილიდან

თავისუფლების ტრიუმფალური ქანდაკების ზურგსუკან ცათამბჯენების ქალაქ ნიუ-იორკში, სილამაზითა და სიდიდით განთქმულ 104-სართულიან ემპაირ სტეიტ ბილდინგში ეს-ეს არის დამთავრდა ძალზე საინტერესო მატჩი მსოფლიოს აბსოლუტურ პირველობაზე... გინებაში. ამ ფრიად საინტერესო „მატჩმა“ სამყაროს მრავალი გულშემატკივარი მიიზიდა. შეჯიბრება, რომელშიც 175 „სპორტსმენი“ მონაწილეობდა, ძალზე საინტერესო გამოდგა.

„ფინალში“ ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელი ჯონ ფაიტი და ინგლისელი ედმონდ ლინკოლნი. შეერთებული შტატების „სპორტსმენმა“, ხელთ იგდო „ინიციატივა“ და ერთი და იგივე სიტყვების განმეორების გარეშე საათსა და 45 წუთის განმავლობაში ულმერთოდ აგინა ინგლისელ თანაკლუბელ ედმონდ ლინკოლნს. მან დაისაკუთრა დაფნის გვირგვინი, 1963 წლის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება.... გინებაში და ფულადი ჯილდო 1500 დოლარი.

გულშემატკივრების შეკითხვაზე, თუ როგორ მიაღწია ჯონ ფაიტმა ამ არნახულ „წარმატებას“, მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა განაცხადა, რომ მან ეს ტიტული მოიპოვა, საქმისადმი „უანგარო სიყვარულითა და პატივისცემით“.

რედაქტორი ი. უგულავა.

9 ოქტომბერი
საერთაშორისო შეხვედრა
თავისუფალ ჭიდაობაში
საქართველო—
პოლონეთი
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

ДЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11637